GEORGIAN INSTITUTE OF PUBLIC AFFAIRS

**საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** სამართლის საბაკალავრო პროგრამა/Bachelor Program in Law

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** სამართლის ბაკალავრი/Bachelor of Law

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 240 კრედიტი

**უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური

**პროგრამის მიზანი:**

სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს **შესძინოს:**

- ფართო თეორიული ცოდნა სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების, ქართული სამართლის ისტორიული წყაროების, ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების, სამართლის პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ფილოსოფიური, ისტორიული და ეკონომიკური ასპექტების, აგრეთვე ეროვნული და უცხოური სამეცნიერო აზრისა და კანონმდებლობის შესახებ;
- ფუნდამენტური ცოდნა საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მიმართულების;
- საერთაშორისო სამართლის სისტემის, ინსტიტუტებისა და პრინციპების ცოდნა.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს **გამოუმუშაოს:**

- სამართლის (კერძო, სისხლის და საჯარო) სფეროში წარმოშობილი კომპლექსური და გაუთვალისწინებელი საკითხების ანალიზისა და შეფასების, მათი გადაწყვეტის გზების მოძიების, ასევე საკუთარი სამართლებრივი დასკვნების წერილობითი და ზეპირი ფორმით გადმოცემის უნარი, შესაბამისი საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით;

- სამართლის ნორმების, სხვადასხვა სამართლებრივი წყაროების იდენტიფიცირებისა და ანალიზის, საქმის გარემოებებიდან რელევანტური ფაქტების დადგენის, მათი სამართლებრივი ანალიზის და არგუმენტაციის, პოზიციის დასაბუთების და შესაბამისი იურიდიული მოქმედებების განხორციელების უნარი;
- მნიშვნელოვანი სამართლებრივი დოკუმენტების შემუშავების, მათი პრაქტიკაში გამოყენების, დავის გადაწყვეტის სტრატეგიისა და პრაქტიკის, საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიდევნების, ცოდნის მუდმივი განახლებისა და სწავლის უნარი;
- პროფესიული ეთიკის და ქცევის ნორმების ფარგლებში მოქმედების, ასევე სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის უნარი.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება;
ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომლებიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდნენ უცხო ქვეყანაში;
გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

## სწავლის შედეგები:

**ცოდნა და გაცნობიერება:**

ბაკალავრი აღწერს:

A) სამართლის არსს, სისტემის ძირითად თავისებურებებს, პრინციპებსა და ინსტიტუტებს, სამართლის განმარტების მეთოდებს, სამართლის გამოყენებისა და შეფარდების პრინციპებს, ქართული სამართლის წყაროებსა და ინსტიტუტებს, ქართული სამართლის განვითარების ქრონოლოგიას, ძირითად თეორიებს, წესებს და რეგულირების თავისებურებებს სამართლის შემდეგ სფეროებში:

სახელმწიფო მოწყობის ძირითად პრინციპებს, ადამიანის უფლებების საკითხებსა და კონცეპტუალურ პრინციპებს, ამ უფლებების მოწესრიგების პოსტულატებს და დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, ადმინისტრაციული სამართლის პრინციპებს, ადმინისტრაციული და საჯარო მმართველობის ორგანოების საქმიანობის ფორმებს, საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების თავისებურებებს, პრინციპებსა და სტადიებს. საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითად პრინციპებს და სისტემას, საერთაშორისო სამართლის წყაროებს და ინსტრუმენტებს, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის მიმართების საკითხებს, საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის მექანიზმებს.

კერძო სამართლის სისტემას, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილისთვის დამახასიათებელ ცნებებსა და კონცეფციებს, სანივთო სამართლის პრინციპებსა და ცნებებს, ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილს, ხელშეკრულებების ტიპებსა და კანონისმიერი ვალდებულებების პრინციპებს, საოჯახო და სამემკვიდრეო სამართლის ცნებებს, შრომის სამართლის ძირითადად პრინციპებსა და შრომის უფლების დაცვის ინსტრუმენტებს, სამეწარმეო სამართლის პრინციპებს და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს, სამოქალაქო სამართალწარმოების თავისებურებებს და სტადიებს, სასამართლოში საქმის განხილვის მნიშვნელოვან ასპექტებს, სამართლებრივი დავის წარმოშობის მიზეზებს და გადაწყვეტის გზებს.

სისხლის სამართლის სისტემას, პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებს, დანაშაულის არსსა და სახეებს, სასჯელის სისტემას, სისხლის სამართალწარმოების სტადიებსა და თავისებურებებს.

**უნარი:**

ბაკალავრი:

B) აიდენტიფიცირებს სამართლის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებელ პრობლემას, სამართლის მეთოდოლოგიის გამოყენებით შეიმუშავებს გადაწყვეტის შესაბამის გზებს და აყალიბებს შესაბამის სამართლებრივ არგუმენტაციას წერილობითი და ზეპირი ფორმით; სამართლებრივი არგუმენტაციის პროცესში იყენებს ფორმალური ლოგიკის ძირითად პრინციპებს;

C) კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელების ან სხვა იურიდიული ამოცანის გადასაწყვეტად აანალიზებს და აკავშირებს სამართლის სხვადასხვა სფეროში არსებულ ნორმებს წყაროებსა და მეთოდებს, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და შეფასების შედეგად ასაბუთებს სამართლებრივ დავაში საკუთარ პოზიციას;

D) ადგენს სხვადასხვა სამართლებრივ დოკუმენტს, კერძოდ, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებს, სამართალშეფასებით აქტებს, სხვადასხვა მნიშვნელოვან საპროცესო დოკუმენტებს, ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების პროექტებს, შეიმუშავებს დავის გადაწყვეტის სტრატეგიას, კანონიერი საშუალებებისა და ეთიკის ნორების გათვალისწინებით;

E) მსჯელობს საკუთარი იდეების, არსებული სამართლებრივი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ, წინასწარგანსაზღვრული მითითების შესაბამისად შეიმუშავებს სამართლის სხვადასხვა სფეროში კვლევით და პრაქტიკული ხასიათის პროექტს და საკუთარ მოსაზრებებს წარადგენს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერითი ფორმით;

F) მოიძიებს და გამოარჩევს საჭირო ინფორმაციას ქართულ და ინგლისურ ენებზე, კერძოდ ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროებს, საკანონმდებლო სიახლეებს, სასამართლო პრაქტიკას, სამეცნიერო ნაშრომებს, ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემის, ეროვნული საკანონმდებლო სისტემების და სხვა მონაცემთა ბაზების მეშვეობით.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**

ბაკალავრი:

G) ავლენს საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარს და შეუძლია იურიდიული საქმიანობის განხორციელება ინდივიდუალური და გუნდური პრინციპების საფუძველზე;
H) ცნობს იურისტის ეთიკური სტანდარტების მნიშვნელობას, მოქმედებს იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების შესაბამისად, პატივს სცემს ადამიანის უფლებებს, მონაწილეობს სამართალწარმოების პროცესში სამართლებრივი ღირებულებების საფუძველზე.

## შედეგებისა და მიზნების რუკა:

აღნიშნული შედეგებისა და მიზნების მატრიცა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

| **პროგრამის მიზნები** | **სწავლის შედეგები** | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | A | B | C | D | E | F | G | H |
| ფართო თეორიული ცოდნა სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების, ქართული სამართლის ისტორიული წყაროების, ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების, სამართლის პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ფილოსოფიური, ისტორიული და ეკონომიკური ასპექტების, აგრეთვე ეროვნული და უცხოური სამეცნიერო აზრისა და კანონმდებლობის შესახებ | ✓ | | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | | ✓ |
| ფუნდამენტური ცოდნა საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მიმართულების | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | |
| საერთაშორისო სამართლის სისტემის, ინსტიტუტებისა და პრინციპების ცოდნა | ✓ | ✓ | ✓ | | ✓ | ✓ | | ✓ |
| სამართლის (კერძო, სისხლის და საჯარო) სფეროში წარმოშობილი კომპლექსური და გაუთვალისწინებელი საკითხების ანალიზისა და შეფასების, მათი გადაწყვეტის გზების მოძიების, ასევე საკუთარი სამართლებრივი დასკვნების წერილობითი და ზეპირი ფორმით გადმოცემის უნარი, შესაბამისი საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | | ✓ |
| სამართლის ნორმების, სხვადასხვა სამართლებრივი წყაროების იდენტიფიცირებისა და ანალიზის, საქმის გარემოებებიდან რელევანტური ფაქტების დადგენის, მათი სამართლებრივი ანალიზის და არგუმენტაციის, პოზიციის დასაბუთების და შესაბამისი იურიდიული მოქმედებების განხორციელების უნარი | ✓ | ✓ | ✓ | | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |
| მნიშვნელოვანი სამართლებრივი დოკუმენტების შემუშავების, მათი პრაქტიკაში გამოყენების, დავის გადაწყვეტის სტრატეგიისა და პრაქტიკის, საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიდევნების, ცოდნის მუდმივი განახლებისა და სწავლის უნარი | | ✓ | ✓ | ✓ | | ✓ | ✓ | |
| პროფესიული ეთიკის და ქცევის ნორმების ფარგლებში მოქმედების, ასევე სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის უნარი | ✓ | | | | | | | ✓ |

## სწავლება-სწავლის მეთოდები:

☒ ლექცია

☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა

☒ პრაქტიკული მუშაობა

☒ სემინარი

☒ელექტრონული რესურსით სწავლება

☒ სხვა

სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების გამომუშავებაზე.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლება-სწავლის მეთოდებს. პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, გონებრივი იერიში, შემთხვევების ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და სხვა.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას ან ნებისმიერ სხვა აქტივობას კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

## სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში  დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში.  სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილია საშუალო მაჩვენებლის (GPA) გამოანგარიშება. სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA) გამოიანგარიშება სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ საგანში მიღებული შეფასების ნამრავლით ამავე საგნის კრედიტზე. საგნებისა და კრედიტების ნამრავლი ჯამდება და იყოფა გავლილი საგნების კრედიტების ჯამურ რაოდენობაზე. საშუალო მაჩვენებლის დაანგარიშებისათვის ნიშნის ხვედრითი წილია:

A = 4
B = 3, 2
C = 2, 4
D = 1, 6
E = 0, 8

## დასაქმების სფერო:

სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ მიღებული ცოდნა გამოიყენონ, როგორც კერძო ასევე, სახელმწიფო და საერთაშორისო სტრუქტურებში, სადაც მოითხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება. პროგრამა იძლევა ღრმა თეორიულ ცოდნას, ისევე როგორც პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც კურსდამთავრებულებს აძლევს შესაძლებლობას დაიწყონ წარმატებული კარიერა იურიდიულ სფეროში. გარდა ამისა, კურსდამთავრებულებს შეუძლიათ სწავლა განაგრძონ სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია უფრო მაღალი დონის სპეციალისტისა თუ მკვლევრის მომზადებაზე.

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს შეეძლებათ სახელმწიფო საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, რომელიც სავალდებულოა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მისაღებად, ასევე ადვოკატისა და პროკურორის თანამდებობის დასაკავებლად.

## სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:

სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამართლის მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევრის მომზადებაზე.

კურსდამთავრებულს, ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

## პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

სამართლის საბაკალავრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ №1 დანართში.

## პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:

სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი სასწავლო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს საბაკალავრო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

**შენობა -** საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ შენობაში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

**ბიბლიოთეკა** - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვლომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e-Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; ImechE Journals; New England Journal of Medicine; Openedition Journlas; Royal Society Journals Collection; SAGE Premier). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

**აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე** - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

**საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები** - პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაცის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

**პროგრამის ხელმძღვანელი:**

ირაკლი სოკოლოვსკი

სამართლის დოქტორი
საქართველო, თბილისი, 0160,
გურამ ფანჯიკიძის ქუჩა, N1/პეკინის გამზირი N42ა
ტელ: (995 32) 2 497545
მობ: (995 599) 583 353
e-Mail: i.sokolovski@gipa.ge

## სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

| № | საგნის კოდი | წინაპირობა | საგანი\ მოდული | ECTS კრედიტი/საათი[1] | | | | | | | | სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2] | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I წელი | | II წელი | | III წელი | | IV წელი | | | |
| | | | | სემესტრი | | | | | | | | | |
| | | | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | საკონტაქტო საათები[3] | დამოუკიდებელი საათები[4] |
| | | | **სავალდებულო ზოგადი საგნები** | **19** | **8** | | | | | | | | |
| 1 | BLAW 001 | არ გააჩნია | აკადემიური წერა | 5/125 | | | | | | | | 48 | 77 |
| 2 | BLAW 002 | არ გააჩნია | ლოგიკა | 5/125 | | | | | | | | 48 | 77 |
| 3 | BLAW 003 | არ გააჩნია | შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში | 4/100 | | | | | | | | 33 | 67 |
| 4 | BLAW 004 | არ გააჩნია | შესავალი ფილოსოფიის ისტორიაში | 5/125 | | | | | | | | 48 | 77 |
| 5 | BLAW 005 | არ გააჩნია | პრეზენტაციის უნარ-ჩვევები | | 4/100 | | | | | | | 33 | 67 |
| 6 | BLAW 006 | არ გააჩნია | ეკონომიკის საფუძვლები | | 4/100 | | | | | | | 33 | 67 |
| | | | **ინგლისური ენის კომპონენტი[5]** | **6** | **6** | **6** | **6** | **5** | | | | | |
| 7 | BLAW 007 | არ გააჩნია | ინგლისური ენა (elementary) | 6/150 | | | | | | | | 93 | 57 |
| 8 | BLAW 008 | BLAW 007 | ინგლისური ენა (Pre-intermediate) | | 6/150 | | | | | | | 93 | 57 |
| 9 | BLAW 009 | BLAW 008 | ინგლისური ენა (intermediate) | | | 6/150 | | | | | | 93 | 57 |
| 10 | BLAW 010 | BLAW 009 | ინგლისური ენა (Upper-intermediate) | | | | 6/150 | | | | | 93 | 57 |
| 11 | BLAW 153 | BLAW010 | ინგლისური ენა (Upper – intermediate II) | | | | | 5/125 | | | | 60 | 65 |
| | | | **სპეციალობის სავალდებულო საგნები** | **5** | **15** | **25** | **20** | **25** | **25** | **25** | **5** | | |

[1] კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

[2] სტუდენტის სასწავლო დატვირთვა - დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.

[3] საკონტაქტო საათები - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო.

[4] დამოუკიდებელი საათები - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო (საშინაო დავალებისა და გამოცდების მომზადება და ა.შ.).

[5] ინგლისური ენის დონის განსაზღვრისთვის სტუდენტებს ჩაუტარდებათ placement test, რომლის მიხედვითაც გადანაწილდებიან შესაბამისს ჯგუფებსა და დონეებზე და პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტის ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე გაყვანას.

| № | საგნის კოდი | წინაპირობა | საგანი\ მოდული | ECTS კრედიტი/საათი[1] | | | | | | | | სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2] | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I წელი | | II წელი | | III წელი | | IV წელი | | | |
| | | | | სემესტრი | | | | | | | | | |
| | | | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | საკონტაქტო საათები[3] | დამოუკიდებელი საათები[4] |
| 12 | BLAW 011 | არ გააჩნია | ქართული სამართლის ისტორია | 5/125 | | | | | | | | 48 | 77 |
| 13 | BLAW 012 | არ გააჩნია | სამართლებრივი მართლწერა | | 5/125 | | | | | | | 48 | 77 |
| 14 | BLAW 013 | არ გააჩნია | შესავალი სამართალმცოდნეობაში | | 5/125 | | | | | | | 48 | 77 |
| 15 | BLAW 014 | არ გააჩნია | შესავალი სამოქალაქო  სამართალში | | 5/125 | | | | | | | 48 | 77 |
| 16 | BLAW 015 | არ გააჩნია | სამართლის ფილოსოფია | | | 5/125 | | | | | | 48 | 77 |
| 17 | BLAW 016 | არ გააჩნია | კონსტიტუციური სამართალი | | | 5/125 | | | | | | 48 | 77 |
| 18 | BLAW 017 | BLAW 014 | სანივთო  სამართალი | | | 5/125 | | | | | | 48 | 77 |
| 19 | BLAW 018 | BLAW 014 | ვალდებულებითი სამართალი (ზოგადი ნაწილი) | | | 5/125 | | | | | | 48 | 77 |
| 20 | BLAW 019 | არ გააჩნია | სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი) | | | 5/125 | | | | | | 48 | 77 |
| 21 | BLAW 020 | BLAW 016 | ადამიანის უფლებების დაცვის  სამართალი | | | | 5/125 | | | | | 48 | 77 |
| 22 | BLAW 021 | BLAW 016 | ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი | | | | 5/125 | | | | | 48 | 77 |
| 23 | BLAW 022 | BLAW 018 | სახელშეკრულებო სამართალი | | | | 5/125 | | | | | 48 | 77 |
| 24 | BLAW 023 | BLAW 032<br>BLAW 030<br>BLAW 065 | იურიდიული ეთიკა | | | | | | | 5/125 | | 48 | 77 |
| 25 | BLAW 024 | BLAW 019 | სისხლის სამართალი (კერძო ნაწილი I) | | | | 5/125 | | | | | 48 | 77 |
| 26 | BLAW 025 | BLAW 016<br>BLAW010 | შესავალი საერთაშორისო საჯარო სამართალში | | | | | 5/125 | | | | 48 | 77 |
| 27 | BLAW 026 | BLAW 022 | მემკვიდრეობის/საოჯახო სამართალი | | | | | | | 5/125 | | 48 | 77 |
| 28 | BLAW 027 | BLAW 018 | კანონისმიერი ვალდებულებები | | | | | | 5/125 | | | 48 | 77 |
| 29 | BLAW 028 | BLAW 022 | სამოქალაქო საპროცესო სამართალი I | | | | | 5/125 | | | | 48 | 77 |
| 30 | BLAW 065 | BLAW 028 | სამოქალაქო საპროცესო სამართალი II | | | | | | 5/125 | | | 48 | 77 |
| 31 | BLAW 029 | BLAW 024 | სისხლის სამართალი (კერძო ნაწილი II) | | | | | 5/125 | | | | 48 | 77 |
| 32 | BLAW 030 | BLAW 024 | სისხლის სამართლის პროცესი | | | | | 5/125 | | | | 48 | 77 |
| 33 | BLAW 031 | BLAW 022 | სამეწარმეო სამართალი | | | | | 5/125 | | | | 48 | 77 |
| 34 | BLAW 032 | BLAW 021<br>BLAW 028 | ადმინისტრაციული  საპროცესო სამართალი | | | | | | 5/125 | | | 48 | 77 |
| 35 | BLAW 033 | BLAW 022 | ინტელექტუალური საკუთრების სამართალი | | | | | | | | 5/125 | 48 | 77 |
| 36 | BLAW 034 | BLAW 025 | საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი | | | | | | | 5/125 | | 48 | 77 |
| 37 | BLAW 035 | BLAW 025 | ევროკავშირის სამართალი | | | | | | 5/125 | | | 48 | 77 |

| № | საგნის კოდი | წინაპირობა | საგანი\ მოდული | ECTS კრედიტი/საათი[1] | | | | | | | | სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2] | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I წელი | | II წელი | | III წელი | | IV წელი | | | |
| | | | | სემესტრი | | | | | | | | | |
| | | | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | საკონტაქტო საათები[3] | დამოუკიდებელი საათები[4] |
| 38 | BLAW 036 | BLAW 022 | შრომის სამართალი | | | | | | 5/125 | | | 48 | 77 |
| 39 | BLAW 037 | BLAW 032 | სააღსრულებლო სამართალი | | | | | | | 5/125 | | 48 | 77 |
| 40 | BLAW 038 | BLAW 065 | საერთაშორისო კერძო სამართალი | | | | | | | 5/125 | | 48 | 77 |
| | | | **სპეციალობის სავალდებულო არჩევითი საგნები*** | | | | | | | | **5** | | |
| 41 | BLAW 046 | BLAW 032 | ადმინისტრაციული სამართლის რეპეტიტორიუმი | | | | | | | | 5/125 | 48 | 77 |
| 42 | BLAW 053 | BLAW 019<br>BLAW 029 | სისხლის სამართლის რეპეტიტორიუმი | | | | | | | | 5/125 | 48 | 77 |
| 43 | BLAW 057 | BLAW 065<br>BLAW 018<br>BLAW 017 | სამოქალაქო სამართლის რეპეტიტორიუმი | | | | | | | | 5/125 | 48 | 77 |
| 44 | BLAW 062 | BLAW 032 | საჯარო (კონსტიტუციური) სამართლის რეპეტიტორიუმი | | | | | | | | 5/125 | 48 | 77 |
| | | | **სპეციალობის არჩევითი საგნები** | | | | | **5** | **5** | **9** | **15** | | |
| 45 | BLAW 039 | BLAW 032 | სამოხელეო სამართალი | | | | | | | | 5/125 | 48 | 77 |
| 46 | BLAW 040 | BLAW 021 | საარჩევნო სამართალი | | | | | 5/125 | | | | 48 | 77 |
| 47 | BLAW 041 | BLAW 032 | საქართველოს საგადასახადო სამართლის საფუძვლები | | | | | | | 5/125 | | 48 | 77 |
| 48 | BLAW 042 | BLAW 016 | საკანონმდებლო ტექნიკა | | | | | 5/125 | | | | 48 | 77 |
| 49 | BLAW 043 | BLAW 032 | სამშენებლო სამართალი | | | | | | | | 5/125 | 48 | 77 |
| 50 | BLAW 044 | BLAW 032<br>BLAW153 | პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი | | | | | | | 4/100 | | 33 | 67 |
| 51 | BLAW 045 | BLAW 025 | საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი | | | | | | | 5/125 | | 48 | 77 |
| 52 | BLAW 047 | BLAW 029 | კრიმინოლოგია | | | | | | | | 5/125 | 48 | 77 |
| 53 | BLAW 048 | BLAW 030 | კრიმინალისტიკა | | | | | | 5/125 | | | 48 | 77 |
| 54 | BLAW 049 | BLAW 030 | ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში | | | | | | 5/125 | | | 48 | 77 |
| 55 | BLAW 050 | BLAW 030 | სისხლის სამართლის პროცესი და სასამართლო პრაქტიკა | | | | | | | 5/125 | | 48 | 77 |
| 56 | BLAW 051 | BLAW 030<br>BLAW153 | ბავშვთა უფლებების დაცვის სამართალი | | | | | | 5/125 | | | 48 | 77 |
| 57 | BLAW 052 | BLAW 010 | სასამართლო პროცესის ინსცენირება და იურიდიული პრეზენტაციის უნარ-ჩვევები | | | | | | | 5/125 | | 48 | 77 |
| 58 | BLAW 054 | BLAW 022 | ხელშეკრულებების შედგენა | | | | | | | 5/125 | | 48 | 77 |

| № | საგნის კოდი | წინაპირობა | საგანი\ მოდული | ECTS კრედიტი/საათი[1] | | | | | | | | სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2] | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I წელი | | II წელი | | III წელი | | IV წელი | | | |
| | | | | სემესტრი | | | | | | | | | |
| | | | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | საკონტაქტო საათები[3] | დამოუკიდებელი საათები[4] |
| | | BLAW153 | | | | | | | | | | | |
| 59 | BLAW 055 | BLAW 031 | გადახდისუუნარობის სამართალი | | | | | | | | 5/125 | 48 | 77 |
| 60 | BLAW 056 | BLAW 028 | საარბიტრაჟო სამართალი | | | | | | | 5/125 | | 48 | 77 |
| 61 | BLAW 058 | BLAW 010 | ინგლისური ენა იურისტთათვის I | | | | | 5/125 | | | | 48 | 77 |
| 62 | BLAW 059 | BLAW 058 | ინგლისური ენა იურისტთათვის II | | | | | | 5/125 | | | 48 | 77 |
| 63 | BLAW 060 | BLAW 059 | სამართლებრივი მართლწერა (Legal Drafting) | | | | | | | | 5/125 | 48 | 77 |
| 64 | BLAW 061 | BLAW 020 | საკონსტიტუციო მართლმსაჯულება | | | | | | | | 5/125 | 48 | 77 |
| 65 | BLAW 064 | BLAW 021 | ადგილობრივი თვითმმართველობის საფუძვლები | | | | | | 5/125 | | | 48 | 77 |
| 66 | LAW 695 | BLAW 153<br>BLAW 025 | ვილემ ს. ვისის სახელობის საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის იმიტირებული პროცესი | | | | | | | | 6/150 | 50 | 100 |
| 67 | LAW 700 | BLAW 153<br>BLAW 025 | ფილიპ ჯესაპის სახელობის საერთაშორისო სამართლის იმიტირებული პროცესი | | | | | | | | 6/150 | 50 | 100 |
| 68 | BLAW 063 | BLAW 028<br>BLAW 030<br>BLAW 032 | სასწავლო პრაქტიკა | | | | | | | | 5/125 | 115 | 10 |
| **სემესტრში** | | | | **30** | **29** | **31** | **26** | **35** | **30** | **34** | **25** | | |
| **წელიწადში** | | | | **59** | | **57** | | **65** | | **59** | | | |

## სწავლის შედეგების რუკა

პროგრამის თითოეული შედეგისთვის განისაზღვრა სამდონიანი იერარქია: I, D, M და პრაქტიკული კომპონენტი P, საიდანაც I აღნიშნავს მოცემული საგნის შედეგზე გასვლას გაცნობით დონეზე (Introduction), D აღნიშნავს გაღრმავებას (Developement), M აღნიშნავს განმტკიცებას (Mastering), ხოლო P აღნიშნავს მოცემული საგნის მოცემულ შედეგს პრაქტიკაში (Practice). შესაძლებელია, რომ საგანი გადიოდეს შესავლის და პრაქტიკის (IP), პრაქტიკისა და გაღრმავების (DP) ან პრაქტიკისა და განმტკიცების (PM) დონეზე.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში, თითოეული შედეგის გასწვრივ მოცემულია ნიშნულების სვეტები (ქულები და სტუდენტები). შესაბამისი ნიშნულისა და საგნის თანაკვეთის უჯრაში, მაშინ როდესაც საგნის გავლა იწვევს შედეგის რომელიმე დონეზე გასვლას, მითითებული პროცენტული მაჩვენებელი (ქულები) ასახავს საგანში დადებითი ნიშნის მიღების მიზნობრივ ნიშნულს, ხოლო სტუდენტების სამიზნე ნიშნულში მითითებული პროცენტული მაჩვენებელი ასახავს სტუდენტების რაოდენობას. დაშვებული გადახრა თითოეული ნიშნულისთვის 15%-ს შეადგენს.

| საგანი/მოდული | A | B | C | D | E | F | G | H |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აკადემიური წერა | | | | | IP (ზოგადი კომპეტენციის ნაწილში) | IP | | |
| ლოგიკა | | IP | | | | | I | |
| შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში | | I (ზოგადი ანალიზისა და არგუმენტაციის ნაწილში) | | | I (ზოგადი კომპეტენციის ნაწილში) | | I | |
| შესავალი ფილოსოფიის ისტორიაში | | I (ზოგადი ანალიზისა და არგუმენტაციის ნაწილში) | | | I (ზოგადი კომპეტენციის ნაწილში) | | I | |
| პრეზენტაციის უნარ-ჩვევები | | | | | IP (ზოგადი კომპეტენციის ნაწილში) | IP | IP | IP (ზოგადი კომპეტეციის ნაწილში) |
| ეკონომიკის საფუძვლები | | I (ზოგადი ანალიზისა და არგუმენტაციის ნაწილში) | | | | | | |
| ინგლისური ენა I (elementary) | | | | | I (ინგლისურ ენაზე კომუნაციის ნაწილში) | I (ინგლისურ ენაზე კომუნაციის ნაწილში) | | |
| ინგლისური ენა II (pre-intermediate) | | | | | I (ინგლისურ ენაზე კომუნაციის ნაწილში) | I (ინგლისურ ენაზე კომუნაციის ნაწილში) | | |
| ინგლისური ენა III (intermediate) | | | | | D (ინგლისურ | D (ინგლისურ | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ენაზე კომუნაციის ნაწილში) | ენაზე კომუნაციის ნაწილში) | | |
| ინგლისური ენა IV (upper intermediate) | | | | | D (ინგლისურ ენაზე კომუნაციის ნაწილში) | D (ინგლისურ ენაზე კომუნაციის ნაწილში) | | |
| ინგლისური ენა V (upper intermediate II) | | | | | M (ინგლისურ ენაზე კომუნაციის ნაწილში) | M (ინგლისურ ენაზე კომუნაციის ნაწილში) | | |
| ქართული სამართლის ისტორია | I | I | | | | I | | |
| სამართლებრივი მართლწერა | I | IP | IP | | IP | | I | |
| შესავალი სამართალმცოდნეობაში | I | IP | IP | | | | | I |
| შესავალი სამოქალაქო სამართალში | I | IP | IP | | | I | I | I |
| სამართლის ფილოსოფია | | I | | | | I | I | I |
| კონსტიტუციური სამართალი | I | I | I | | I | I | | I |
| სანივთო  სამართალი | I | IP | IP | | | IP | | |
| ვალდებულებითი სამართალი (ზოგადი ნაწილი) | I | IP | IP | | IP | IP | IP | IP |
| სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი) | I | IP | IP | | | IP | IP | IP |
| ადამიანის უფლებების დაცვის სამართალი | D | DP | DP | | DP | DP | | IP |
| ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი | I | DP | DP | DP | | DP | D | |
| სახელშეკრულებო სამართალი | I | DP | DP | IP | | | I | |
| სისხლის სამართალი (კერძო ნაწილი I) | I | DP | DP | | | DP | | D |
| სისხლის სამართალი (კერძო ნაწილი II) | D | D | D | | | MP | D | D |
| შესავალი საერთაშორისო საჯარო სამართალში | I | D | D | | DP | DP | D | DP |
| სამოქალაქო საპროცესო სამართალი I | D | D | D | DP | | D | | |
| სამოქალაქო საპროცესო სამართალი II | M | M | M | MP | | M | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სისხლის სამართლის პროცესი | M | M | M | MP | | | | D |
| სამეწარმეო სამართალი | D | D | D | MP | | M | | |
| ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი | M | MP | MP | MP | | | D | D |
| ევროკავშირის სამართალი | M | MP | MP | | | MP | D | |
| შრომის სამართალი | M | MP | MP | MP | MP | MP | D | |
| კანონისმიერი ვალდებულებები | D | DP | DP | | MP | MP | D | |
| მემკვიდრეობის/საოჯახო სამართალი | D | DP | DP | | MP | MP | D | |
| საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი | M | MP | MP | | MP | MP | | |
| სააღსრულებლო სამართალი | M | MP | MP | | M | M | D | |
| საერთაშორისო კერძო სამართალი | M | MP | MP | | MP | MP | | D |
| ინტელექტუალური საკუთრების სამართალი | M | MP | MP | | | MP | DP | |
| იურიდიული ეთიკა | | D | D | | DP | DP | M | MP |

*შენიშვნა: სტუდენტი ვალდებულია პროგრამით გათვალისწინებული 4 რეპეტიტორიუმიდან (სამოქალაქო სამართლის რეპეტიტორიუმი, სისხლის სამართლის რეპეტიტორიუმი, საჯარო (კონსტიტუციური) სამართლის რეპეტიტორიუმი, ადმინისტრაციული სამართლის რეპეტიტორიუმი) ერთ-ერთი აირჩიოს სავალდებულო საგნად მისი ინტერესის სფეროდან გამომდინარე.*

| საგანი/მოდული | A | B | C | D | E | F | G | H |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ადმინისტრაციული სამართლის რეპეტიტორიუმი | MP | MP | MP | | MP | MP | MP | MP |
| სამოქალაქო სამართლის რეპეტიტორიუმი | MP | MP | MP | | MP | MP | MP | MP |
| საჯარო (საკონსტიტუციო) სამართლის რეპეტიტორიუმი | MP | MP | MP | | MP | MP | MP | MP |
| სისხლის სამართლის რეპეტიტორიუმი | MP | MP | MP | | MP | MP | MP | MP |

## პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე
## (CURRICULUM VITAE)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **სახელი, გვარი** | ირაკლი სოკოლოვსკი | | | |
| **თანამდებობა** | სამართლის და პოლიტიკის სკოლის სამართლის საბაკალავრო და საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი | | | |
| **სამუშაო ადგილი** | საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი | | | |
| **საკონტაქტო ინფორმაცია** | ტელეფონი: | +(995) 583353 | ელ-ფოსტა: | i.sokolovski@gipa.ge |
| **დაცული დისერტაცია და სამეცნიერო კვლევის სფეროები** | დისერტაციის სათაური: „ხელშეკრულებების დადება“; 2006 | | | |
| **პუბლიკაციები** | Report on the Aviation Legislative Framework of Georgia prepared in cooperation with IATA and Ministry of Economic and Sutainable Development of Georgia in 2016.<br>Regulatory Impact Assessment Report in relation to Draft Law on Entrepreneurs prepared in cooperation with ISET and GiZ in 2017.<br>Current Issues of the completion policy. The presentation at the conference organized by G4G, USAID and Competition Agency of Georgia on 24 April 2016<br>The Antitrust Aspects of Antidumping Legislation. The presentation at the conference organized by G4G, USAID and Legal Education Centre on 23 December 2016<br>The Coordinated Actions and Parallelism in Completion Law. The presentation to be delivered at 6th Business Law Conference to be held on 16-17 December 2017 | | | |

**დანართი №1**

## ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ

| № | სახელი და გვარი | სტატუსი | სასწავლო კურსი |
|---|---|---|---|
| 1. | ნათია ჭიღვარია | პროფესორი | • ინგლისური ენა<br>• ინგლისური ენა იურისტებისთვის |
| 2. | ვანო ცერცვაძე | პროფესორი | • ლოგიკა |

| | | | |
|---|---|---|---|
| 3. | ნათია იაკობიძე | ასოცირებული პროფესორი | • აკადემიური წერა |
| 4. | ქეთევან მუხიგული | ასოცირებული პროფესორი | • შესავალი ფილოსოფიის ისტორიაში |
| 5. | ანა გორგოძე | ასისტენტი | • პრეზენტაციის უნარ-ჩვევები |
| 6. | ნათია კუტივაძე | პროფესორი | • ეკონომიკის საფუძვლები |
| 7. | გიორგი კობერიძე | ასისტენტ პროფესორი | • შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში |
| 8. | ზაზა სუხიშვილი | მოწვეული ლექტორი | • ქართული სამართლის ისტორია |
| 9. | თინათინ ერქვანია | პროფესორი | • სამართლის ფილოსოფია<br>• საკონსტიტუციო სამართალი<br>• საკონსტიტუციო მართლმსაჯულება<br>• საჯარო (კონსტიტუციური) სამართლის რეპეტიტორიუმი |
| 10. | ანა ნაცვლიშვილი | პროფესორი | • ადამიანის უფლებების დაცვის სამართალი |
| 11. | კახაბერ ურიადმყოფელი | მოწვეული ლექტორი | • ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი;<br>• ადმინისტრაციული სამართლის რეპეტიტორიუმი |
| 12. | უჩა ზაქაშვილი | მოწვეული ლექტორი | • სამშენებლო სამართალი |
| 13. | მარიამ ბობოხიძე | მოწვეული ლექტორი | • ბავშვთა უფლებების დაცვის სამართალი<br>• საკანონმდებლო ტექნიკა<br>• სამოხელეო სამართალი |
| 14. | კახაბერ გოშაძე | მოწვეული ლექტორი | • პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი |
| 15. | დავით გელაშვილი | მოწვეული ლექტორი | • საქართველოს საგადასახადო სამართლის საფუძვლები |
| 16. | ნატო ბაჩიაშვილი | მოწვეული ლექტორი | • საარჩევნო სამართალი |
| 17. | ნინო გოგელაშვილი | მოწვეული ლექტორი | • სააღსრულებლო სამართალი |
| 18. | ინგა კვაჭანტირაძე | მოწვეული ლექტორი | • ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი |
| 19. | რევაზ ჩხეიძე | მოწვეული ლექტორი | • ევროკავშირის სამართალი<br>• საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი |

| | | | |
|---|---|---|---|
| 20. | თამარ ონიანი | მოწვეული ლექტორი | • შესავალი საერთაშორისო საჯარო სამართალში<br>• საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი |
| 21. | ირაკლი სოკოლოვსკი | პროფესორი | • შესავალი სამოქალაქო სამართალში |
| 22. | ლევან თოთლაძე | ასოცირებული პროფესორი | • შესავალი სამართალმცოდნეობაში;<br>• სანივთო სამართალი;<br>• სამოქალაქო სამართლის რეპეტიტორიუმი |
| 23. | ოთარ მაჩაიძე | ასოცირებული პროფესორი | • ვალდებულებითი სამართალი<br>• იურიდიული ეთიკა |
| 24. | ნიკოლოზ შეყილაძე | მოწვეული ლექტორი | • კანონისმიერი ვალდებულებები |
| 25. | მიხეილ გოგიშვილი | მოწვეული ლექტორქი | • ხელშეკრულების შედეგენა |
| 26. | გიორგი ხატიძე | ასოცირებული პროფესორი | • სახელშეკრულებო სამართალი |
| 27. | დიმიტრი გაბუნია | მოწვეული ლექტორი | • მემკვიდრეობის/საოჯახო სამართალი |
| 28. | გიორგი ჯუღელი | მოწვეული ლექტორი | • სამეწარმეო სამართალი |
| 29. | ნინო ბოგვერაძე | მოწვეული ლექტორი | • შრომის სამართალი |
| 30. | თამარ ხაჟომია | მოწვეული ლექტორი | • სამოქალაქო საპროცესო სამართალი I<br>• სამოქალაქო საპროცესო სამართალი II |
| 31. | ნინო ელოშვილი | მოწვეული ლექტორი | • ინტელექტუალური საკუთრების სამართალი |
| 32. | ნათია სახოკია | მოწვეული ლექტორი | • გადახდისუუნარობის სამართალი |
| 33. | მიხეილ შათაშვილი | მოწვეული ლექტორი | • საერთაშორისო კერძო სამართალი |
| 34. | ჯაბა გველებიანი | მოწვეული ლექტორი | • საარბიტრაჟო სამართალი |
| 35. | კახა წიქარიშვილი | პროფესორი | • სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი<br>• სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I<br>• სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | • სისხლის სამართლის რეპეტიტორიუმი |
| 36. | გია მეფარიშვილი | მოწვეული ლექტორი | • ადამიანის უფლებების დაცვა სისხლის სამართლის პროცესში |
| 37. | ზაზა მეიშვილი | მოწვეული ლექტორი | • სისხლის სამართლის პროცესი<br>• სისხლის სამართლის პროცესი და სასამართლო პრაქტიკა |
| 38. | იოსებ ჭიჭიკაშვილი | მოწვეული ლექტორი | • კრიმინოლოგია |
| 39. | დავით ქოჩლაძე | მოწვეული ლექტორი | • კრიმინალისტიკა |
| 40. | ეთერ ჩაჩანიძე | მოწვეული ლექტორი | • სამართლებრივი მართლწერა |
| 41. | ნინი შენგელია | მოწვეული ლექტორი | • სამართლებრივი მართლწერა (Legal Drafting) |
| 42. | ქეთევან არახამია | მოწვეული ლექტორი | • სასამართლო პროცესის ინსცენირება და იურიდიული პრეზენტაციის უნარ-ჩვევები |
| 43. | ალექსანდრე სვანიშვილი | პროფესორი | • ადგილობრივი თვითმმართველობის საფუძვლები |
| 44. | თომა დე ბრეიტი | მოწვეული ლექტორი | • ინგლისური ენა |